COVID-19, ორსულობა და ვაქცინაცია

ბუკლეტი მომზადებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევ-ნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

ბუკლეტში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება ბრიტანეთის მეან-გინეკო-ლოგთა სამეფო კოლეჯისა და აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების მტკიცებულებებს.

1 როგორ მოვიქცე თუ ორსულობის პერიოდში გამომივლინდა COVID-19-ის სიმპტომები?

COVID-19-ის ძირითადი სიმპტომებია: მაღალი ტემპერატურა, ხანგრძლივი ხველა, გემოს და სუნის დაკარგვა ან დაქვეითება (ანოსმია)

ამ სიმპტომების შემთხვევაში მიმართეთ გინეკოლოგს ან დარეკეთ ცხელ ხაზზე -112. გთხოვთ, ნუ დააყოვნებთ, მიმართეთ სამედიცინო სამსახურს დაავადების ადრეულ პერიოდში.

2 რა გავლენას ახდენს ორსულებზე COVID-19?

არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ორსული ქალების COVID-19–ის გამომწვევი ვირუსით ინფიცირების რისკი არ არის უფრო მეტი ზოგად პოპულაციასთან შედარებით. ორსულების დაახლოებით ორ მესამედში ინფექცია უსიმპტომოდ მიმდინარეობს ან მხოლოდ მსუბუქი სიმპტომები ვლინდება. უნდა აღინიშნოს, რომ დაინფიცირების შემთხვევაში, ორსულებში ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების განვითარების რისკი გაცილებით მაღალია, ვიდრე ზოგად პოპულაციაში. გართულებების რისკი განსაკუთრებით მაღალია ორსულობის მესამე ტრიმესტრში და შესაძლოა, გამოიწვიოს ნაადრევი მშობიარობა ან მკვდრადშობადობა.

კვლევებმა დაადასტურა, რომ ინფიცირებულ ორსულ ქალებში სხვებთან შედარებით უფრო ხშირია ჰოსპიტალიზაციის და ინტენსიური მოვლის საჭიროება.

3 თუ ორსულობის პერიოდში დავინფიცირდი, რა გავლენას მოახდენს COVID-19 ნაყოფზე?

ამ ეტაპზე არ არსებობს მტკიცებულება, რომ ორსულმა შესაძლებელია ნაყოფს ან ახალშობილს გადასცეს ვირუსი. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, COVID-19-მა გამოიწვიოს ნაყოფის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები. COVID-19 ორსულობის ადრეულ პერიოდში არ ზრდის ორსულობის შეწყვეტის რისკს.



ახალშობილების COVID-19-ით დაინფიცირება არ არის დაკავშირებული მშობიარობის მეთოდზე, ძუძუთი კვებაზე ან დედის და ახალშობილის ერთ სივრცეში ყოფნაზე.

4 რატომ მიეკუთნებიან ორსულები COVID-19-ით მოწყვლად ჯგუფს?

ორსული ქალები მიეკუთვნებიან საშუალო რისკის ჯგუფს COVID-19-თან მიმართებაში. ზოგადად, ორსულობის განმავლობაში რთულია ვირუსულ ინფექციებთან გამკლავება, კარგ მაგალითს წარმოადგენს გრიპოზული ინფექციები. ვირუსული ინფექციები განსაკუთრებით დიდი გამოწვევაა 28 კვირის და მეტი გესტაციური ასაკის ორსულებისათვის.

უახლესი მტკიცებულებებით, დაინფიცირების შემთხვევაში, ორსულებში ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების რისკი გაცილებით მაღალია ვიდრე ზოგად პოპულაციაში. დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა კვლევებმა უჩვენა, რომ COVID-19-ით ინფიცირებულ ქალთა ჰოსპიტალიზაცია უმეტესად ორსულობის მესამე ტრიმესტრში ხდებოდა. ამიტომ აუცილებელია ორსულებმა გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე, დაიცვან ფიზიკური დისტანცია და ჰიგიენა.

ორსულები ყველა გესტაციურ ასაკში უნდა აიცრან COVID-19-ის საწინააამდეგო ვაქცინით.

5 რას მირჩევთ თუ ვარ ორსულობის პირველ ტრიმესტრში?

პანდემიის დროს, მნიშვნელოვანია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში დაუკავშირდეთ ექიმს და მიიღოთ კვალიფიციური დახმარება. ზოგიერთი სიმპტომი, მაგალითად როგორიცაა ტკივილი ან დაჭიმულობის შეგრძნება მცირე მენჯის არეში, სისხლდენა ორსულობის ადრეულ ვადაზე შეიძლება დაკავშირებული იყოს საშვილოსნოსგარე ორსულობასთან და თვითნებურ აბორტთან. ამ შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ მიმართოთ თქვენს გინეკოლოგს.

6 შეუძლია თუ არა ჩემს პარტნიორს/ოჯახის წევრს დაესწროს ჩემს მშობიარობას?

დიახ, თქვენს პარტნიორს ან ოჯახის წევრს შეუძლია დაესწროს მშობიარობას, მაგრამ უნდა დაიცვას პანდემიასთან დაკავშირებით დაწესებული რეგულაციები. თუ თქვენ პარტნიორს/ოჯახის წევრს აღენიშნება COVID-19-ისთვის დამახასიათებელი სიმპტომები ან COVID-19-ით ინფიცირებულის კონტაქტია, ვერ დაესწრება თქვენს მშობიარობას. ის იზოლირებული უნდა იქნას შესაბამისი წესების დაცვით.

ზოგიერთ დაწესებულებაში, COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გამო, შესაძლებელია, ანტენატალურ ვიზიტებზე და მშობიარობაზე თანმხლები პირების დასწრება არ იყოს დაშვებული, თუმცა ამ გარემოებამ ნეგატიურად არ უნდა იმოქმედოს თქვენს განწყობაზე.

7 შეუძლია თუ არა ჩემს პარტნიორს დაესწროს საკეისრო კვეთას?

COVID-19-ის პანდემიის გამო სამედიცინო პერსონალი ინფექციისაგან დაცვის სხვადასხვა საშუალებას იყენებს - როგორც ინდივიდუალურ საშუალებებს, და იცავენ ინფექციის გავრცელებისაგან საოპერაციო სივრცეს, შესაბამისად, საკეირო კვეთის დროს რეკომენდებული არ არის პარტნიორის ან სხვა პირების დასწრება.

ინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ექიმთან ვიზიტისა თუ ულ-ტრაბგერითი კვლევის წინ, მიუხედავად იმისა გაქვთ თუ არა COVID-19-სთვის დამახასიათებელი სიმპტომები, უნდა გაიკეთოთ COVID-19-ის სადიაგ-ნოსტიკო ტესტი.

საკეისრო კვეთის დაგეგმის ან მშობიარობის წინ მკაცრად უნდა დაიცვათ COVID-19 პანდემიის გამო შემუშავებული რეკომენდაციები, მიმართოთ თვითიზოლაციას და საკეისრო კვეთისა თუ მშობიარობის წინ გაიკეთოთ COVID-19-ის სადიაგნოსტიკო ტესტი.

8 ჩამიტარდება თუ არა COVID-19-ის სადიაგნოსტიკო ტესტი?

COVID-19-ის გავრცელების რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ულტრაბგერითი კვლევის ან ანტენატალური ვიზიტის წინ, მიუხედავად იმისა გაქვთ თუ არა სიმპტომები უნდა გაიკეთოთ ტესტირება.

რეკომენდებულია, რომ არჩევით (დაგეგმილ) პროცედურებზე დაშვებულ პირებს სამედიცინო დაწესებულებაში შესვლამდე და თვითიზო-ლაციის პერიოდის შემდეგ ჩაუტარდეთ ტეს-ტირება.

ასევე დაგეგმილ საკეისრო კვეთამდე რე-კომენდებულია თვითიზოლაციაში დარჩენა და ჰოსპიტალიზაციამდე COVID-19-ის სადიაგ-ნოსტიკო ტესტის ჩატარება.

9 რა არის ანტისხეულების ტესტი და შეიძლება თუ არა, რომ ჩავიტარო?

COVID-19 ანტისხეულების ტესტი უჩვენებს იყავით თუ არა დაინფიცირებული ვირუსით. ტესტის საშუალებით სისხლში ვლინდება ანტისხეულები, რომლებიც ორგანიზმმა გამოიმუშავა, თუ დაინფიცირებული იყავით. ამ პროცესს ეწოდება ორგანიზმის იმუნური პასუხი.

10 ჩემს პარტნიორს უნდა ჩაუტარდეს ტესტი COVID-19-ზე?

COVID-19-ის გამოსავლენად სწრაფი ტესტი ხელმისაწვდომია ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. თუ ანტენატალური ვიზიტის, ულტრაბგერითი კვლევის ან მშობიარობის მიზნით პარტნიორთან ან ოჯახის წევრთან ერთად ეწვიეთ კლინიკას, შესაძლოა, მასაც შესთავაზონ ტესტირება COVID-19-ზე.

11 რა მოხდება, თუ უარს ვიტყვი COVID-19-ის ტესტირებაზე?

თუ გეგმიური ან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მისაღებად (მშობიარობისა და ლოგინობის პერიოდის ჩათვლით) ეწვიეთ კლინიკას, მაგრამ უარს აცხადებთ COVID-19-ის სადიაგნოსტიკო ტესტირებაზე, სამედიცინო პერსონალი მოგემსახურებათ ისე, როგორც უცნობი სტატუსის მქონე პაციენტს.

COVID-19-ისთვის დამახასიათებელი სიმპტომების შემთხვევაში, თქვენი მომსახურება გაგრძელდება, როგორც COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტის.

12 ჩემი შვილის დაბადების შემდეგ იმატებს თუ არა ჩემი ან ჩემი ბავშვის დაინფიცირების რისკი?

არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ მშობიარობის შემდეგ ქალებში ან ახალშობილებში მაღალია COVID-19-ით დაინფიცირების ან სერიოზული გართულებების განვითარების რისკი, თუმცა აუცილებელია COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით შემუშავებული ყველა რეკომენდაციის დაცვა.

13 მესაჭიროება თუ არა პოსტნატალური (მშობიარობის შემდგომი) ვიზიტი?

პოსტნატალური (მშობიარობის შემდგომი) ზრუნვა აუცილებელია ლოგინობის ხანის მიმდინარეობის შეფასებისათვის. შეგიძლიათ, პოსტნატალური ვიზიტი დაგეგმოთ ინდივიდუალურად. პანდემიის პირობებში უმჯობესია, თქვენს გინეკოლოგთან ან ოჯახის ექიმთან იქონიოთ სატელეფონო ან ონლაინ კონტაქტი და მხოლოდ აუცილებლობისას დაგეგმოთ პირისპირ ვიზიტი.

14 რა უნდა გავაკეთო, თუ ვფიქრობ, რომ მაქვს COVID-19 ან მქონდა კონტაქტი ინფიცირებულთან?

თუ ორსულად ხართ და გაქვთ მაღალი ტემპერატურა ან დაგეწყოთ ხანგრძლივი ხველა, გემოსა და სუნის შეგრძნების დაკარგვა, უნდა ჩაიტაროთ COVID-19-ის სადიაგნოსტიკო ტესტი და იზოლირდეთ ტესტის უარყოფითი პასუხის მიღებამდე. თუ თავს ცუდად გრძნობთ, დაუკავშირდით ექიმს. გადაუდებელი შემთხვევის დროს დარეკეთ 112-ზე.



15 როგორ მოვიქცე თუ ჩემი ტესტი პოზიტიურია COVID-19-ზე?

COVID-19-ის დადასტურების შემთხვევაში უნდა დაუკავშირდეთ ექიმს და აცნობოთ თქვენი დიაგნოზი. სიმპტომებიდან გამომდინარე, ექიმი მიიღებს გადაწვეტილებას მკურნალობის გზების შესახებ.

16 რატომ უნდა ვიყო თვითიზოლაციაში, რატომ არ შემიძლია შემოვიფარგლო ფიზიკური დისტანციის დაცვით?

თქვენთვის სავალდებულოა თვითიზოლაცია, თუ:

• გაქვთ COVID-19-ისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, როგორებიცაა: მაღალი ტემპერატურა, გახანგრძლივებული ხველა ან სუნისა და გემოვნების შეგრძნების დაკარგვა;

• დაგიდასტურდათ COVID-19 და რეკომენდებულია სახლში გამოჯან-მრთელება;

• გაქვთ დაგეგმილი საკეისრო კვეთა ან ელოდებით მშობიარობის დაწყებას და რეკომენდებულია თვითიზოლაცია კლინიკაში განთავსებამდე.

17 თუ ვიმყოფები თვითიზოლაციაში, შემიძლია თუ არა ანტენატალურ ვიზიტებზე მივიდე კლინიკაში?

უნდა დაუკავშირდეთ გინეკოლოგს ან კლინიკას და აცნობოთ, რომ საეჭ-ვო/დადასტურებული COVID-19-ის გამო ამჟამად იმყოფებით თვითიზო-ლაციაში. შესაბამისად, თქვენ ჩაგიტარდებათ სატელეფონო ან ონლაინ კონსულტაცია თქვენს ექიმთან, ხოლო რუტინული ანტენატალური ვიზიტები გადაიდება თვითიზოლაციის დასრულებამდე.

18 მოახდენს თუ არა გავლენას ჩემი მშობიარობის ადგილზე საეჭვო ან დადასტურებული COVID-19-ის გამო თვითიზოლაციაში ყოფნა?

როგორც პრევენციული ღონისძიება, საეჭვო ან დადასტურებული COVID-19-ის შემთხვევაში, მშობიარობა ხდება იმ სამეანო დაწესებულებებში, რომლებიც განთავსებულია კოვიდჰოსპიტლებში.

ამჟამად, არ არსებობს მტკიცებულება, რომ საეჭვო/დადასტურებული COVID-19-ის გამო არ შეიძლება ფიზიოლოგიური მშობიარობა ან უფრო უსაფრთხოა საკეისრო კვეთის ჩატარება.

19 შეიძლება COVID-19 გადავდო ბავშვს?

ამჟამინდელი მტკიცებულებებით, ვირუსის გადაცემა (ვერტიკალური ტრანსმისია) ორსულობის ან მშობიარობის დროს იშვიათია. ახალშობილის COVID-19-ით დაინფიცირება არ არის დამოკიდებული მშობიარობის მეთოდზე, კვების ტიპზე ან დედისა და ახალშობილის ერთ სივრცეში ყოფნაზე. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ახალშობილთა უმეტესობას, რომლებიც დაბადებიდან მალევე დაინფიცირდნენ COVID-19-ით, დაავადების მძიმე გართულებები არ ჰქონდათ.

ამასთან, ახალშობილების მცირე ნაწილს COVID-19 დაუდასტურდათ დაბადებიდან მოკლე პერიოდში. უცნობია ვირუსის გადაცემა მოხდა მუცლად ყოფნის დროს თუ მშობიარობის შემდეგ.

20 რა მოხდება, თუ მშობიარობა დამეწყება თვითიზოლაციის პერიოდში?

თუ მშობიარობა დაგეწყოთ თვითიზოლაციის პერიოდში, უნდა დაუკავშირდეთ თქვენს ექიმს ან გინეკოლოგს და აცნობოთ, რომ ხართ COVID-19-ის საეჭვო ან დადასტურებული შემთხვევა.

მსუბუქი სიმპტომების შემთხვევაში, პრაქტიკიდან გამომდინარე, მშობიარობის ადრეულ ეტაპზე რეკომენდებულია სახლში დარჩენა (თვითიზოლაცია).

სამშობიარო განყოფილებაში გადაყვანის საჭიროებისას გირჩევთ გადაადგილდეთ კერძო ტრანსპორტით ან მიმართეთ 112-ს.

21 გაუკეთდება თუ არა COVID-19-ის სადიაგნოსტიკო ტესტი ჩემს პატარას?

თუ ხართ COVID-19-ზე საეჭვო ან დადასტურებული შემთხვევა, ნეონატოლოგები შეაფასებენ თქვენს ახალშობილს და მიიღებთ რჩევებს მის მოვლასთან დაკავშირებით. ასევე აუცილებელია ახალშობილის ტესტირება.

22 შევძლებ ჩემს შვილთან დარჩენას/კანით-კანთან კონტაქტს, თუ ვარ საეჭვო ან COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევა?

დიახ, თუ ეს თქვენი არჩევანია. იმ შემთხვევაში თუ თქვენი პატარა კარგად არის და ახალშობილთა განყოფილებაში მკურნალობას არ საჭიროებს, მშობიარობის შემდგომ თქვენ ერთად იქნებით .

ზოგიერთ ქვეყანაში, COVID-19-ის მქონე მელოგინეებს ურჩევენ ახალშობილისაგან 14 დღის განმავლობაში იზოლირებას. თუმცა, ამ ფაქტმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ძუძუთი კვებასა და დედასა და ახალშობილის ურთიერთკავშირზე.

23 როგორ შემიძლია ჩემი ბავშვის კვება, თუ ვარ COVID-19-ზე საეჭვო ან დადასტურებული შემთხვევა?

ძუძუთი კვებისას მთავარი რისკი თქვენსა და თქვენს პატარას შორის მჭიდრო კონტაქტია, რადგან ხველების ან ცემინების დროს გამოყოფთ ვირუსით დაინფიცირებულ წვეთებს, რომლებიც შესაძლოა მოხვდნენ ბავშვის ლორწოვან გარსებზე, რაც გამოიწვევს მის დაინფიცირებას.

თუ ირჩევთ ბავშვის ძუძუთი ან გამოწველილი რძით კვებას, გირჩევთ მკაცრად დაიცვათ ჰიგიენის წესები.

იმ შემთხვევაში, თუ ხართ COVID-19-ზე საეჭვო ან დადასტურებული შემთხვევა, ძუძუთი კვების დროს დაიცავით შემდეგი რეკომენდაციები:

• დაიბანეთ ხელები ბავშვთან, ტუმბოს ან ბოთლებთან შეხებამდე;

• შეეცადეთ შეიკავოთ ხველა ან ცემინება ბავშვის ძუძუთი ან ბოთლიდან კვების დროს;

• გაიკეთეთ პირბადე ძუძუთი კვების დროს;

• დაიცავით ტუმბოს/ბოთლის გაწმენდის რეკომენდაციები ყოველი გამოყენების შემდეგ;

• სთხოვეთ დახმარება მათ, ვისაც კარგად გამოსდის ბავშვის გამოკვება თქვენი გამოწველილი ან ხელოვნური რძით.

24 შემიძლია თუ არა, რომ მაინც წავიდე სამსახურში? რა მოხდება, თუ ვმუშაობ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას?

თუ ვერ შეძლებთ სახლიდან მუშაობას, შეგიძლიათ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილას იმუშაოთ იმ პირობით, რომ თქვენი დამსაქმებელი ჩაატარებს რისკების შეფასებას და შეძლებს მიიღოს შესაბამისი ზომები თქვენი დაინფიცირების რისკის შესამცირებლად.

თუ გაქვთ წუხილი თქვენი სამუშაო ადგილის რისკის შეფასებასთან და მის შედეგად მიღებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, პირველ რიგში დაელაპარაკეთ თქვენს დამსაქმებელს; საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდით პროფკავშირის წარმომადგენელს.

ვაქცინაცია

ძირითადი გზავნილები

• COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა რეკომენდებულია ორსულებისთვის. ვაქცინაცია საუკეთესო გზაა ორსულობის პერიოდში COVID-19-ის რისკების თავიდან ასაცილებლად. ვაქცინაცია გიცავთ ნაადრევი მშობიარობისაგან.

• აუცილებელია, ორსულმა პირად ექიმთან განიხილოს ვაქცინაციის სარგებელი და მასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და ერთობლივად მიიღონ გადაწყვეტილება.

• COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის წინ ძუძუთი კვების შეწყვეტის საჭიროება არ არსებობს.

• ქალებს, რომელთაც დაორსულებას გეგმავენ, არ უნდა თქვან უარი ვაქცინაციაზე, რადგან არ არსებობს მტკიცებულება COVID-19-ის ვაქცინის რეპროდუქციულ სისტემაზე უარყოფითი ზემოქმედების შესახებ.

• COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია არ გამორიცხავს დამსაქმებლის მიერ ორსული თანამშრომლების რისკების შეფასებას სამუშაო პირობებში, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მთავრობის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს.

25 არის თუ არა COVID-19-ის ვაქცინა უსაფრთხო და ეფექტური ორსული ქალებისა და მათი ჩვილებისთვის?

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ COVID-19-ის არცერთი ვაქცინა არ შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ კომპონენტს. იგი უსაფრთხოა ორსულებისა და ბავშვებისათვის.

რაც შეეხება ცოცხალ ვირუსებზე დაფუძნებულ ვაქცინებს, ისინი არ გამოიყენება ორსულობის დროს, რადგან შესაძლოა ზიანი მიაყენოს როგორც ორსულს, ასევე ნაყოფს. ორსულებისთვის რეკომენდებულია არაცოცხალი ვაქცინები, მაგალითად როგორიცაა გრიპის და ყივანახველას საწინააღმდეგო ვაქცინები.

კვლევებმა ასევე დაადასტურა, რომ ვაქცინაციის შედეგად გამომუშავებული ანტისხეულები გადიან ტრანსპლაცენტარულ ბარიერს, რაც ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის ჩამოყალიბებას COVID-19-ის მიმართ. როგორც ცნობილია, ორსულობის პერიოდში, COVID-19–ით დაინფიცირებამ შეიძლება გამოიწვიოს ინფექციის მძიმე მიმდინარეობა და სერიოზული გართულებები, განსაკუთრებით ორსულობის მესამე ტრიმესტრში, სწორედ ამიტომ სასურველია ორსულობის პერიოდში ჩაიტაროთ COVID-19-ის საწინააღ-მდეგო ვაქცინაცია.

26 რა გავლენას ახდენს ორსულობის პერიოდში ჩატარებული COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ახალშობილებზე?

რამდენადაც COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები ახალია, ჯერაც არ ჩატარებულა გრძელვადიანი კვლევები იმ ბავშვებზე, რო-მელთა დედები COVID-19-ით იყვნენ ინფიცი-რებულნი.

ოთხი ქვეყნის ექვსი კვლევის შედეგებმა უჩვენა (რომელშიც 40 000-ზე მეტი ორსული მონაწილეობდა), რომ ვაქცინა არ ზრდის ორსუ-ლობის შეწყვეტის, ნაადრევი მშობიარობის, მკვდრადშობადობის და ასევე, მცირე გესტა-ციური ასაკის ბავშვის დაბადების ან თანდაყო-ლილი პათოლოგიების რისკებს.

27 იწვევს თუ არა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა ორსულობის შეწყვეტას ან მკვდრადშობადობას?

კვლევებით დგინდება, რომ ორსულობის შეწყვეტის და მკვდრადშობადობის რიცხვი დაბალია იმ ქალებში, რომლებმაც ჩაიტარეს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები არ ზრდის ორსულებში სპონტანური აბორტის ან მკვდრადშობადობის რისკს. მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული ექვსი კვლევის შედეგების თანახმად, ვაქცინირებულ და არავაქცინირებულ ორსულებში სპონტანური აბორტის სიხშირე ერთნაირია.

28 რა სარგებლობა მოაქვს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციას ორსულობის დროს?

ორსულებში რეკომენდებულია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რამდენადაც ის საუკეთესო საშუალებაა ორსულებში და ახალშობილებში COVID-19-ის რისკების, მათ შორის ინტენსიური თერაპიის საჭიროების და ნაადრევი მშობიარობის თავიდან ასაცილებლად.

COVID-19 გავლენას ახდენს ორსულობაზე. ინფიცირებულ ორსულებში ნაადრევი მშობიარობის რისკი ორჯერ მეტია.

უახლესი კვლევებით, COVID-19-ით ინფიცირებულ ორსულებში პრეეკლამფსიის და გადაუდებელი საკეისრო კვეთის რისკი მაღალია; ასევე 2-ჯერ მაღალია მკვდრადშობადობის რისკი, თუმცა მკვდრადშობადობის შემთხვევების რაოდენობა ჯერაც დაბალი რჩება.

რატომ არის სასურველი ორსულების ვაქცინაცია?

- ამცირებს ორსულებში მძიმე დაავადების განვითარების რისკს;
- ამცირებს მკვდრადშობადობის და ნაადრევი მშობიარობის რისკს;
- ამცირებს ინფექციის გადაცემას ოჯახის წევრებზე.

29 შეიძლება თუ არა COVID-19-ის საწინააღმდეგო აცრის გაკეთება ძუძუთი კვების დროს?

მეძუძური ქალებისთვის რეკომენდებულია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. ვაქცინაში არსებული კომპონენტები არ გადაეცემა თქვენს შვილს ძუძუთი კვების დროს, ამიტომ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პერიოდში არ შეწყვიტოთ ახალშობილის ძუძუთი კვება.

30 შეიძლება თუ არა COVID-19-ის საწინააღმდეგო აცრა, თუკი ვგეგმავ ორსულობას?

ქალებში, რომლებიც დაორსულებას გეგმავენ, რეკომენდებულია აიცრან COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით. ვაქცინაცია თავიდან აგაცილებთ მოსალოდნელ გართულებებს.

31 ამჟამად მსურს დავგეგმო ორსულობა. უკვე გავიკეთე ვაქცინის პირველი დოზა, უნდა გადავდო თუ არა ორსულობა მეორე დოზის მიღებამდე?

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა გიცავთ ინფექციისგან, თუმცა, მხოლოდ 1 დოზა არ არის საკმარისი სრულყოფილი დაცვისთვის.

ორსულებში რეკომენდებულია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რამდენადაც ის საუკეთესო საშუალებაა ორსულებში და ახალშობილებში COVID-19-ის რისკების, მათ შორის ინტენსიური თერაპიის საჭიროების და ნაადრევი მშობიარობის თავიდან ასაცილებლად.

თუ ვაქცინის პირველი დოზის მიღების შემდეგ აღმოაჩენთ, რომ ორსულად ხართ, რეკომენდებულია მეორე დოზა გაიკეთოთ ისევე როგორც დაგეგმილი გქონდათ. ვაქცინა უსაფრთხო და ეფექტურია ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე და არ არსებობს მისი გადადების საჭიროება.

მნიშვნელოვანია, ვაქცინაციის კურსი დასრულდეს მშობიარობამდე ან მესამე ტრიმესტრამდე, როდესაც COVID-19-ით გამოწვეული სერიოზული გართულებების რისკი ყველაზე მაღალია.

პირად ექიმთან განიხილეთ COVID-19 - ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის სარგებელი და მასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და ერთობლივად მიიღეთ გადაწყვეტილება.

32 შეიძლება თუ არა ორსულის ვაქცინაცია?

COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაცია უსაფრთხოა ორსულებისა და მეძუძური დედებისთვის. COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაცია უსაფრთხოა, როგორც სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა. ვაქცინა ასევე იცავს თქვენს ჩვილს ინფექციისაგან. COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა არის არაცოცხალი ვაქცინა და უსაფრთხოა ორსულებისთვის.

33 როგორ მოვიქცე თუ COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის პირველი დოზის მიღების შემდეგ დამიდასტურდა ორსულობა?

თუ ვაქცინის პირველი დოზის შემდეგ დაგიდასტურდათ ორსულობა, გირჩევთ მეორე დოზით ვაქცინაცია ჩაიტაროთ ისევე როგორც დაგეგმილი გქონდათ. არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს, რომ აუცილებელია დაელოდოთ ორსულობის მეორე ტრიმესტრს.

34 რას მირჩევთ თუ ვმუშაობ, ვარ ორსულად და ჩავიტარე ვაქცინაცია?

დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს მთავრობის რეკომენდაციები ორსულებთან დაკავშირებით და შეაფასოს რისკები.

35 რა ვადაზე შემიძლია გავიკეთო ვაქცინა ორსულობის დროს?

ვაქცინის გაკეთება უსაფრთხოა ორსულობის ნებისმიერ ვადაზე. არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს, რომ აუცილებელია დაელოდოთ ორსულობის მეორე ტრიმესტრს.

COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის ერთი დოზა იძლევა კარგ დაცვას, მაგრამ ორი დოზით აცრა უფრო კარგად დაგიცავთ დელტა შტამისგან.

36 რომელი ვაქცინით ავიცრა თუ ორსულად ვარ?

საქართველოში ორსულთა ვაქცინაცია მიმდინარეობს Pfizer-BioNTech-ით.

37 ჩამიტარდა ვაქცინაცია ASTRAZENECA -ს პირველი დოზით. ამჟამად ვარ ორსული მესაჭიროება მეორე დოზა. რა უნდა გავაკეთო?

ქალებს, რომლებმაც AstraZeneca-ს, სინოფარმის ან სინოვაკის ვაქცინის პირველი დოზა გაიკეთეს ორსულობის დადგომამდე, რეკომენდებულია, რომ მეორე დოზა ჩაუტარდეთ Pfizer-BioNTech-ის ვაქცინით.

გახსოვდეთ, მეორე დოზა უფრო ხანგრძლივად დაგიცავთ COVID-19 ინფექ-ციისაგან.

38 რა უახლესი რჩევები არსებობს ორსულობასა და COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ?

16 წელზე უფროსი ასაკის ყველა ორსულისათვის რეკომენდებულია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. ვაქცინაცია საუკეთესო საშუალებაა ორსულებისა და ახალშობილების COVID-19-ინფექციისაგან დასაცავად.

39 რა გვერდითი ეფექტები აქვს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებს?

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებს აქვთ მსუბუქი და მცირე ხნიანი გვერდითი ეფექტები, მაგ: ცხელება ან კუნთების ტკივილი, რომელიც ერთი ან ორი დღე შეიძლება გაგრძელდეს. სერიოზულ გვერდით მოვლენები, რო-გორიც არის ალერგიული რეაქცია ან სისხლის შედედების პრობლემები, გვხვდება ძალიან იშვიათ შემთხვევებში.

სისხლის შედედებასთან დაკავშირებული პრობლემა, როგორიცაა მაგალითად თრომბოზი, წარმოადგენს იშვიათ გვერდით ეფექტებს.

40 როგორ მოვიქცე თუ განმივითარდა გვერდითი ეფექტები?

როგორც ყველა მედიკამენტს, ვაქცინებსაც შეიძლება ჰქონდეს გვერდითი ეფექტები. ჩვეულებრივ, ეს შეიძლება იყოს მსუბუქი და არა გრძლევადიანი. ყველაზე ხშირად გვერდითი მოვლენები ვლინდება ვაქცინაციის პირველ ორ დღეს და იგი შეიძლება გამოიხატოს მკლავის არეში (სადაც მოხდა ინექცია) ტკივილის, დაღლილობის, თავის ტკივილის და შემცივნების სახით.

თქვენ შესაძლოა, გქონდეთ გაციების მსგავსი სიმპტომები და შემცივნების შეგრძნება ერთი ან ორი დღის განამვლობაში. თუ ცხელება დაგეწყოთ და ტემპარატურამ მიაღწია 38-C და მეტს, მიიღეთ პარაცეტამოლი, რომელიც უსაფრთხოა ორსულებისათვის.

დაუყონებლივ უნდა მიმართოთ ექიმს კონსულტაციისათვის, თუ ვაქცინაციის შემდგომ გაქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომები:

- ძლიერი თავის ტკივილი, რომელსაც ტკივილის საწინააღმდეგო პრეპარატი არ გიხსნით და თანდათან ძლიერდება.
- უჩვეულო თავის ტკივილი, რომელიც ჰორიზონტალური მდგომარეობის დროს ძლიერდება და თან ახლავს:
    - გულისრევა, ღებინება, მხედველობის გაურესება
    - მეტყველების გაძნელება
    - სისუსტე, ძილიანობა ან კრუნჩხვა
- დაუზუსტებელი სისხლჩაქცევები და სისხლდენა;
- სუნთქვის გაძნელება, ტკივილი გულმკერდის არეში, ფეხის შეშუპება ან მუდმივი ხასიათის მუცლის ტკივილი.



41 რატომ არის სასარგებლო ვაქცინაცია ორსულობის დროს?

ვაქცინაცია საუკეთესო საშუალებაა ორსულებსა და ახალშობილებში COVID-19 ინფექციასთან დაკავშირებული რისკების, მათ შორის, ინტენსიური მოვლის საჭიროებისა ან ნაადრევი მშობიარობის თავიდან ასაცილებლად.

ვაქინაცია გვიცავს და უზრუნველყოფს:

- ორსულებში დაავადების მძიმე გართულებების შემცირებას;
- მკვდრადშობადობისა და ნაადრევი მშობიარობის შემცირებას;
- რისკის ჯგუფს მიკუთვნებული ოჯახის წევრებისათვის ვირუსის გადაცემის პოტენციურ შემცირებას.

42 შეიძლება ავიცრა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით ინ ვიტრო განაყოფიერების დროს?

დიახ, თქვენ შეგიძლიათ აიცრათ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით ინ ვიტრო განაყოფიერების პერიოდში. აუცილებელია ყურადღება მიექცეს ვაქცინაციის ჩატარების დროს, რადგანაც ვაქცინაციის შემდგომ შესაძლოა მსუბუქი გვერდითი ეფექტები გაგვითარდეთ, რაც არა- სასურველია მკურნალობის პროცესში. გონივრული იქნება თუ ვაქცინაციის ჩატარებას და მკურნალობის ზოგიერთ პროცედურას (მაგალითად, კვერ- ცხუჯრედის შეგროვება და ემბრიონის გადატანა ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდით) შორის რამდენიმე დღიანი შუალედი იქნება.

თქვენს ექიმთან ერთად შეარჩიეთ ვაქცინაციის ჩატარებისათვის საუკეთესო დრო თქვენი მდგომაროების გათვალისწინებით

43 არის უსაფრთხო COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, თუ მიმდინარეობს იმუნოთერაპიის კურსი ინ ვიტრო განაყოფიერების დროს?

ზოგჯერ, ინ ვიტრო განაყოფიერების დროს ქალი იტარებს იმუნოსუპ-რესორულ თერაპიას. პფაიზერის COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არის „ცოცხალი ვაქცინა“, ამიტომ მას არ შეუძლია COVID-19-ის გამოწვევა იმუნოსუპერსორული თერაპიის დროს. მაგრამ თავად თერაპია ამცირებს ანტი-კოვიდ ანტისხეულებს, რომელსაც სხეული გამოიმუშავებს ვაქცინის საპასუხოდ. აქედან გამომდინარე, უმჯობესია გადადოთ ვაქცინაცია იქამდე სანამ იმუნოთერაპიის ეფექტი არ გაქრება, ან გადადოთ ინ ვიტრო განაყოფიერების მკურნალობა რამდენიმე კვირით ვაქცინაციის შემდგომ.

44 COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა ახდენს თუ არა გავლენას ფერტილობაზე?

არ მოიპოვება მტკიცებულება, რომ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები გავლენას ახდენენ შვილოსნობაზე. ასევე არ არსებობს ბიოლოგიურად სარწმუნო მექანიზმი, რისი საშუალებითაც შესაძლოა რომ არსებულმა ვაქცინებმა გავლენა მოახდინონ ქალის შვილოსნობაზე. პფაიზერის ვაქ-ცინით ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ვირთხებში ამ ვაქცინების გამოყენებას არ ჰქონდა გავლენა შვილოსნობაზე. მტკიცე-ბულებები ასევე ადასტურებს, რომ ვაქცინირებულ ქალებს არ აქვთ შვილოსნობასთან დაკავშირებული პრობლემები.